



№1-25/12

19/07/2022

ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა

კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრმთელობის

ეროვნული ცენტრის გენერალურ დირექტორს

ბატონ ამირან გამყრელიძეს

ბატონო ამირან,

ჩვენი ორგანიზაცია სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობით ყოველთვის აქტიურად იყო და არის ჩართული ჯანდაცვის სექტორის და განსაკუთრებით კი, პირველადი ჯანდაცვის რეფორმირების პროცესში. რეფორმის ერთ ერთ მთავარ ამოცანას, ჩვენი შეფასებით, წარმოადგენს ქვეყანაში ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, შესაბამისად, მონაცემების სრული დიგიტალიზაცია და პროცესიდან ქალაქდმატარებლების ამოღება, რაც ერთის მხრივ, სამედიცინო დაწესებულებებს დაეხმარება გაამარტივონ სხვადასხვა ბიზნეს პროცესები, ამავედროულად, სახელმწიფოს მიცემს საშუალებას ჰქონდეს უკეთესი სტატისტიკა ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში, რაც დაეხმარება მას ეფექტურად დაძლიოს სხვადასხვა გამოწვევები ჯანდაცვის სექტორში.

აღნიშნული წერილის მიზანს წარმოადგენს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ქვეყანაში იმუნიზაციის პროცესში მონაცემების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. წერილის მომზადების პროცესში, აქტიურ კონსულტაციებს გავდიოდით ქვეყნის მასშტაბით როგორც ჯანდაცვის სამედიცინო სექტორის, ისე ციფრული ტექნოლოგიების წამყვან ექსპერტებთან და სპეციალისტებთან.

პირველ რიგში, გვსურს დიდი მადლობა გადაგიხადოთ, ვინაიდან უშუალოდ თქვენი ინიციატივით, ჯანდაცვის სამინისტროს და აშშ განვითარების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2013 წელს შეიქმნა და ქვეყნის მასშტაბით დაიწყო ფუნქციონირება იმუნიზაციის ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ, რაც უდაოდ უდიდესი წინგადადგული ნაბიჯი იყო ამ პერიოდისათვის არა მარტო ჩვენი ქვეყნისადმი, არამედ მთელი რეგიონისათვის. აღნიშნული სისტემა, წლების განმავლობაში სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების დახმარებით მუდმივად ვითარდებოდა და იხვეწებოდა, თუმცა როგორც ნებისმიერ სხვა საკითხში პროგრესი შეუქცევადია და ის მუდმივად საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, შესაბამისად, აღნიშნულ წერილში გაკეთებული რეკომენდაციები, მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება.

ვინაიდან იმუნიზაციის პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან, შესაბამისად შევეცდებით აღნიშნული წერილით შევეხოთ, ჩვენი მოსაზრებით, შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

1. შეხსენებების სისტემა

მიგვაჩნია რომ გეგმიური იმუნიზაციის პროცესის და მოცვის მაჩვენებლების გაზრდის მიზნით ეფექტური და მნიშვნელოვანია იქნება შეხსენებების სისტემის ამუშავება, რომელიც ბენეფიციარებს აცრის ისტორიის გათვალისწინებით დაუგზავნის შეხსენებებს გეგმიით გათვალისწინებული ვაქცინაციის შესახებ. აღნიშნული ინსტრუმენტი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ტვირთს სამედიცინო დაწესებულებების პერსონალს (ვინაიდან დღეს ინდივიდუალურად ხდება თითოეულ ბენეფიციართან სატელეფონი კავშირი) და გაცილებით ეფექტურს გახდის პროცესს.

2. ჯავშნების სისტემა

COVID19 ვაქცინაციის პროცესმა ნათლად დაგვანახა, რომ მთელი ვაქცინაციის პროცესის თვალსაზრისით ერთ ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური ინსტრუმენტი იყო ჯავშნების მართვის ელექტრონული სისტემა Booking.moh.gov.ge. აღნიშნული სისტემა, ერთის მხრივ, მოქალაქეებს უადვილებდა შეერჩიათ მათთვის სასურველი სამედიცინო დაწესებულება (ხშირად გეოგრაფიული მიზნით) და ჩაწერილიყვნენ შესაბამის სერვისზე. ამავდროულად, მოქალაქეების მიერ ვიზიტზე ჩაწერილი ინფორმაცია გადაიღოდა იმუნიზაციის ელექტრონულ სისტემაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა სამედიცინო პერსონალის დროის დანაკარგს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სისტემის ამუშავება გეგმიური იმუნიზაციის, ასევე, არაგეგმიური ვაქცინაციის (განსაკუთრებით კი გრიპით ვაქცინაციის პროცესში) შემთხვევაში ძალიან ეფექტური იქნება. ამავდროულად, სისტემის საშუალებით ექიმებს ექნებათ საშუალება, რომ ვიზიტზე მოსული ბენეფიციარები ჩაწერონ მომდევნო ვაქცინაციაზე, რაც მოქალაქეებს გაუმარტივებს შემდგომ ვაქცინაციაზე ჩაწერას და ამავდროულად, ინფორმაცია დაგეგმილი აცრის შესახებ მიუვათ შეხსენებების სახით. ვფიქრობთ, რომ ჯავშნების სისტემა ეფექტური არის არამარტო მოქალაქეებისათვის, არამედ სამედიცინო დაწესებულებების და სამედიცინო პერსონალისათვის, ვინაიდან წინასწარ შეუძლიათ ნახონ მათთან დაკავშირებული სერვისი და უკეთ მართონ პროცესი.

3. ბენეფიციარების იდენტიფიცირება

იმისათვის, რომ გაიზარდოს მოცვის მაჩვენებლები და შესაბამისად იმუნიზაციის ელექტრონულ სისტემაში აღირიცხოს ყველა ბენეფიციარი, ვისაც ეკუთვნის ვაქცინაცია, საჭიროა, ბენეფიციარების იდენტიფიცირება საყოველთაო ჯანდაცვის „ბენეფიციართა რეგისტრაციის სისტემაში“ და მათი სინქრონიზება იმუნიზაციის ელექტრონულ სისტემასთან. ბენეფიციარები, ვისაც არ აქვთ ჩატარებულ არც ერთი აცრა (ანუ არ ყავთ მიბმული არც ერთ სამედიცინო დაწესებულებას) ან აქვთ ჩავარდა (მათ შორის გეგმიური იმუნიზაციის კალენდრის მიხედვით დაგვიანება) მათ შესახებ სპეციალური რეპორტის მომზადება. მსგავს ინფორმაციაზე წვდომა უნდა ჰქონდეს თავად სამედიცინო დაწესებულებებს, რათა უკეთ დაგეგმონ იმუნიზაციის პროცესი, დღესდღეობით, აღნიშნული ინფორმაციის მოძიება ძალზედ რთულია.

4. პროცესების სრული ელექტრონიზაცია და პროცესების ქაღალდმატარებლების ვალდებულების გაუქმება

როგორც მოგესხენებათ, 2019 წლის 16 სექტემბერის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-60/ნ ბრძანების შესაბამისად (პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, იმ ინფექციური დაავადებების სიის, რომელთათვისაც სავალდებულოა პროფილაქტიკური აცრები და პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლების, ვადებისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ) 2020 წლის 1 მაისიდან მხოლოდ ელექტრონული სისტემა

უნდა გახდეს საანგარიშგებო ფორმების დამუშავების და ინფორმაციის წარდგენის ერთადერთი საშუალება. ჩვენდა სამწუხაროდ, აღნიშნული ჩანაწერი მხოლოდ ბრძანებაში ჩანაწერის დონეზეა და რეალურად არ ფუნქციონირებს, რისი პრაქტიკული მიზეზები, ჩვენი აზრით, არის შემდეგი:

ა) ელექტრონული სისტემის აღრიცხვის ერთადერთ ინსტრუმენტად გამოსაყენებლად, აუცილებელია პარალელური ანგარიშგების შეწყვეტა, რაც დღემდე მიმდინარეობს და ძირითადი აქცენტი ისევ ძველ საანგარიშგებო ფორმების სისწორეზე და დროულობაზეა გამახვილებული და არა მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის დროულობაზე;

ბ) მთელ რიგ დაწესებულებებს მიუხედავად არაერთი მცდელობისა არა აქვს ან ვერ შეიძინა ელექტრონულ სისტემასთან მუშაობის უნარები. შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ დაწესებულებების ინვენტარიზაცია/აღრიცხვა და მათ მიერ ჩატარებული აცრების რეგისტრაციის საკითხი უნდა დარეგულირდეს ალტერნატიული ფორმით, ან სჯდ ცენტრების მიერ ან სპეციალურად ამ მიზნით დაკონტრაქტებულ დამატებით სპეციალისტთა გუნდის ჩართვით;

გ) იმუნიზაციის ელექტრონული სისტემიდან უნდა მოიხსნას აცრების რიგითობის არსებული პრინციპი, ექიმმა დაარეგისტრიროს ჯერადობით იმ ველში მერამდენე აცრასაც უტარებს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვისთვის ჩატარებული წინა აცრები შესაძლოა არაა სისტემაში რეგისტრირებული, ამ გზით გაიზრდება ყოველთვიური ანგარიშგების სისრულე და ხარისხი და გამარტივდება აღრიცხვიანობის პროცესი.

დ) მომხმარებლებს უნდა მიეცეს რეგისტრირებულ მონაცემებში კორექტივების შეტანის მეტი თავისუფლება, ამჟამად არსებული 24 საათიანი პერიოდიდან, ანგარიშგებს წარმოდგენამდე პერიოდამდე

უფრო კონკრეტულად:

ა) პროფილაქტიკური აცრების ბარათის ფორმა

ბრძანებით განსაზღვრული საანგარიშგებო ფორმა არის ისტორიულად დამკვიდრებული საანგარიშგებო ფორმის პირდაპირი ასლი, რეალური საჭიროება კი შემდეგია: ელექტრონული სისტემა უნდა იძლეოდეს აცრების სერთიფიკატის ბეჭდვის საშუალებას, როგორც ეს კოვიდ 19 ნაწილში არის გათვალისწინებული. თვალსაჩინოებისათვის წერილის ბოლოში წარმოდგენილია განახლებული ფორმა, რომელიც გარდა იმისა, რომ ბენეფიციარს აძლევს სრულყოფილ ინფორმაციას და აძლევს მას საშუალებას წარადგინოს სხვადასხვა ადგილზე დანიშნულებისამებრ, ამავდროულად, სამედიცინო დაწესებულებას აძლევს საშუალებას, რომ მნიშვნელოვნად გაამარტივოს იმუნიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება და აღნიშნული დოკუმენტი ჩადოს სამედიცინო დოკუმენტაციაში, როგორც სრულფასოვანი აცრის ბარათი.

გეგმიური იმუნიზაციის აპლიკაციაში უნდა იყოს შემდეგი კატეგორიები:

- **ჩატარებული აცრები** - რომელიც თავის მხრივ იყოფა გეგმიურ და არაგეგმიურ აცრებად და რომელშიც უნდა იყოს გამოყოფილი გეგმიური ვაქცინა, ასაკი, სამედიცინო დაწესებულება და გვერდითი მოვლენები, რაც დაკავშირებული იყო აღნიშნულ ვაქცინაციასთან;
- **გამოტოვებული აცრები** - რომელიც თავის მხრივ უნდა იყოფოდეს შემდეგ ინფორმაციად - გეგმიური ვაქცინა, ასაკი, თარიღი და აუცრებლობის მიზეზი;

- **სამომავლო კალენდრით გათვალისწინებული** - რომელიც თავის მხრივ უნდა იყოფოდეს შემდეგ ინფორმაციად - გეგმიური ვაქცინა, ასაკი და თარიღი.

აღნიშნული ფორმის შემოღება სამედიცინო დაწესებულებას აძლევს საშუალებას, რომ მნიშვნელოვნად გაამარტივოს იმუნიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება და აღნიშნული დოკუმენტი ჩადოს სამედიცინო დოკუმენტაციაში, როგორც სრულფასოვანი აცრის ბარათი და გაუქმდეს ქალაქდმატარებლებზე აცრების ჟურნალების წარმოების ვალდებულება.

ბ) ანალიტიკური ფორმები

ბრძანების შესაბამისად, ელექტრონული სისტემის საშუალებით მოხდა სხვადასხვა ქალაქდმატარებელი ფორმების გაელექტრონულება ვიზუალურად და არა შინაარსობრივად. მიგვაჩნია, რომ დღეს დღეობით განსაზღვრული ანალიტიკური ფორმები საჭიროებს საფუძვლიან გადახედვას და ელექტრონული სისტემის სრული შესაძლებლობების გამოყენებას, რათა იყოს ვალიდური ინფორმაცია როგორც ლოკალურ, ასევე, ეროვნულ/რეგიონულ/რაიონულ დონეზე, განსაკუთრებით მოცვის მაჩვენებლის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ ანგარიშგების დღეს არსებული საფეხურები არის იდეურად შესაცვლელი, კერძოდ, ინფორმაცია უნდა მოდიოდეს ზემოდან ქვემოთ (ცენტრი, რეგიონები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები, სამედიცინო დაწესებულებები), რომლის ეფექტური მაგალითი არის COVID19 ვაქცინაციის პროცესი და არა პირიქით, რაც ქალაქდმატარებლების მოდელზეა მორგებული. დღეს არსებული მიდგომით, როგორც დოკუმენტში ავღნიშნეთ, წარმოადგენს ქალაქდმატარებლების რეპლიკაციას, რომლითაც სამედიცინო დაწესებულებების დონეზე საანგარიშგებო ფორმებს ავსებს ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი (ექიმი/ექთანნი) და შეაქვს სათანადო ინფორმაცია იმუნიზაციის მართვის ელექტრონულ მოდულში და ზედა დონეზე გაგზავნის დროულობაზე პასუხისმგებელი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი, სოფლის ექიმი, ფიზიკური პირი. II-III დონეებზე შესაბამის საანგარიშგებო ფორმებს, დადგენილი წესით, ავსებს და ხელს აწერს ქალაქის/მუნიციპალიტეტის სჯც/სჯს-ის დირექტორი/ხელმძღვანელი, რომელიც, ასევე, პასუხისმგებელია საანგარიშგებო ფორმების შევსების ხარისხზე, სისრულეზე და ზედა დონეზე გაგზავნის დროულობაზე. ქალაქის/მუნიციპალიტეტის სჯც/სჯს-ის დირექტორი/ხელმძღვანელი, ასევე, პასუხისმგებელია იმემ-ში ინფორმაციის შეტანის სიზუსტესა და დროულობაზე.

ბრძანებაში აღნიშნული სახით ჩანაწერი პირდაპირ ეწინააღმდეგება ბიზნეს პროცესის დიგიტალიზაციას და მთლიან პროცესს არაეფექტურს ხდის.

გ) აცრებზე უკუჩვენების ან შემდგომი გართულების რეგისტრაცია

ამავე ბრძანების მუხლი 5 შესაბამისად (პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული სავალდებულო აცრების ჩატარების წესი (20.05.2020 N01-51/6), სამედიცინო პერსონალი ვალდებულია: აწარმოოს ჩატარებული აცრების, აცრებზე უარის, აცრებზე უკუჩვენებებისა და აცრის შემდგომი გართულებების რეგისტრაცია, შეიტანოს ინფორმაცია ჩატარებული აცრების და ვაქცინების ხარჯვის შესახებ ყველა სათანადო დოკუმენტში, იმუნიზაციის მართვის ელექტრონულ მოდულში და უზრუნველყოს პროფილაქტიკური აცრების ბარათის (ფორმა №01) გაცემა.

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კატეგორიული უარის შეთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი ჟურნალისა და პროფილაქტიკურ აცრაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის ფორმის სათანადო წესით შევსება და უარის დაფიქსირება.

რეალურად აღნიშნული პროცესი მიდმინარეობს ქაღალდმატებლეზე და არ არის გაელექტრონებული, ვინაიდან დღეს არსებული პროფილაქტიკური აცრების ბარათი არ შეიცავს აღნიშნულ ინფორმაციას და საჭირო ხდება პროცესის ქაღალდმატარებელ ჟურნალებში აღრიცხვა. მიგვაჩნია, რომ თუ სისტემამ ჩადებული იქნა დოკუმენტის დანართად შემოთავაზებული ფორმა, ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი იმისათვის, რომ მონაცემები გაციფრულდეს და პროცესიდან ამოვიდოთ ქაღალდმატარებლები.

დ) ანალიტიკური ანგარიშები

ამჟამად სრულად ვერ ვიყენებთ ქვემოთჩამოთვლილ ანგარიშების ფორმებს:

- ფორმა 1.1. „ბავშვების აღრიცხვის ჟურნალი დაბადების წლის მიხედვით“
- ფორმა 1.2. ანგარიში მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების შესახებ
- ფორმა 1.3. აცრების გეგმა მომდევნო წლისთვის
- ფორმა 1.4. აცრების ყოველთვიური დაგეგმვისა და აღრიცხვის ჟურნალი
- ფორმა 1.5. "1 თვეზე მეტი", მუდმივი უკუჩვენებების და უარის აღრიცხვის ჟურნალი
- ფორმა 1.6. ვაქცინების, გამხსნელების, შპრიცების და გასანადგურებელი ყუთების მიმოქცევის აღრიცხვის ჟურნალი
- ფორმა 1.7. ტემპერატურის აღრიცხვის ფორმა
- ფორმა 1.8. ანგარიში ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ

საწყის ეტაპზე, საკმარისი იქნება ანგარიშების ფორმების დეტალური ექსპორტი ხდებოდეს ექსელში, რომ შევძლოთ ჩვენთან რეგისტრირებული ბავშვების აცრების მდგომარეობის იდენტიფიცირება და მართვა, როგორც ამჟამად 1.8 ფორმა გვაძლევს კრებსით ანგარიშს, ხოლო 1.8 (დეტალური) ფორმა გვაძლევს შესაძლებლობას ექსელის ფაილში მივიდოთ დეტალური ინფორმაცია პაციენტებისა და ვაქცინების შესახებ.

აღნიშნული ფორმების სრულყოფილად გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაციის მართვა მნიშვნელოვნად გამარტივდება, როგორც ადგილობრივ (იძლევა საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაში შემავალი მოსახლეობის აცრების ყველა მაჩვენებლის ანალიზის საშუალებას), ასევე, რეგიონულ და ნაციონალურ დონეზე. აღნიშნული საანგარიშგებო ფორმები და აღრიცხვის სხვა დოკუმენტები, ავტომატურად უნდა ქმნიდეს სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშის მომზადების საფუძველს.

ამრიგად, მუშაობის ხარისხის შესაფასებლად ეროვნულ დონეზე დამტკიცებული მაჩვენებლების/ინდიკატორების გამოანგარიშებისა და გრაფიკული ანალიზისათვის განკუთვნილი ანალიტიკური ფორმების გენერირება უნდა ხდებოდეს ავტომატურ რეჟიმში. ყოველთვიურად აგებული გრაფიკი გვიჩვენებს აცრებით მოცვის მდგომარეობას, უკუჩვენებების/უარის თქმის ზრდის ან კლების ტენდენციას, იძლევა ბენჩმარკინგის შესაძლებლობას და ა.შ.

გადაიხედოს NCDC-ის მიერ იმუნიზაციის დამტკიცებული ეროვნული ინდიკატორები, რათა დავიწყოთ მონაცემთა შეგროვება ამ ინდიკატორებით. ესენია:

- 12 თვის ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც წლის მანძილზე ჩაუტარდათ აცრა DTP ვაქცინის სამი დოზით - **აცრებით მოცვის მაჩვენებელი ეს არის 1 წლამდე ასაკში ვაქცინირებულ პირთა (n) პროცენტული წილი 1 წლამდე ასაკის კონტინგენტიდან (N); (მოცვის დონე= $n / N * 100\%$).**
- 1 წლიდან 1,5 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც წლის მანძილზე ჩაუტარდათ აცრა წითელა-წითურა-ყბაყურას კომბინირებული ვაქცინის რეკომენდებული დოზით.
- **დროული და დაგვიანებული აცრების წილი** - "დროული " - 1(2)(7) წლამდე" და დაგვიანებით -"1(2)(7) წლის ზემოთ".
- 4 თვის და 29 დღის ასაკის ბავშვთა ჰექსა3 აცრებით მოცვის დონე (დროულობა) - აცრებით დროული მოცვის მაჩვენებელი ეს არის ბავშვების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც 5 თვის ასაკამდე მიიღეს ჰექსა ვაქცინის სამივე დოზა, ანუ დაასრულეს ჰექსავალენტური ვაქცინით იმუნიზაციის კურსი. დროულობა გამოითვლება 5 თვის ასაკისათვის ჰექსა3-ით აცრილ ბავშვთა რაოდენობის (n) შეფარდებით 1 წლამდე ასაკში ჰექსა3-ით ვაქცინირებულ პირთა საერთო რაოდენობასთან (N); (დროულობა= $n/N * 100\%$)
- აცრებზე უარის და უკუჩვენებების მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვთა წილი(%);
- 1 წლამდე ასაკის იმ ბავშვების პროცენტი, რომლებსაც აღენიშნებათ უკუჩვენებები ყვიანახველას კომპონენტზე;
- **1 წლამდე ასაკის ბავშვთა აცრებით დაბალი მოცვის მიზეზი შესაძლოა იყოს მშობლის უსაფუძვლო უარი და/ან დაუსაბუთებელი უკუჩვენება.** (ჯანმო-ს მონაცემებით ბავშვები, რომელთაც დაუდგინდათ "1 თვეზე ხანგრძლივი" და „მუდმივი“ უკუჩვენებები არ უნდა აღემატებოდეს კონტინგენტის 2%-ს).

კარგი იქნებოდა პროფილაქტიკური აცრების საადრიცხვო, საანგარიშგებო ფორმების და პროფილაქტიკური აცრების კალენდრისა და იმუნიზაციის მართვის ფარგლებში მეთოდური სახელმძღვანელოს გადახედვა, რომელიც 2015 წლის შემდეგ არ განახლებულა.

5. მობილური აპლიკაცია


მიგვაჩნია, საჭიროა დღეს არსებული იმუნიზაციის მობილური აპლიკაციის ფუნქციონალი სრულად უნდა ჰარმონიზდეს Georgia E Health მობილური აპლიკაციაში, რაც მეტად ხელმისაწვდომს გახდის მონაცემების გამოყენებას, მოქალაქეებისათვის.

აღნიშნული აპლიკაცია, ასევე, იქნას გამოყენებული აცრების შესხენებებისათვის, ვინაიდან აღარ იქნება საჭირო ინფორმაციის დაგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით და პირდაპირ გაგვიყვანს სამიზნე კონტიგენტზე, ნაცვლად იმუნიზაციის სისტემაში დაფიქსირებული მშობლებისა და მუურვეების ტელეფონის ნომრებისა, ვინაიდან ალბათობა არსებობს, რომ სისტემაში არასწორად იყოს მითითებული ტელეფონის ნომრები.

მნიშვნელოვანია, რომ სისტემაში ასახული იყოს ინფორმაცია, რაც შემოთავაზებულ აცრების ბარათის ფორმაშია და რომეცლიც დანართის სახით არის წარმოდგენილი.



ჩვენი ორგანიზაციის სახელით, გვსურს დიდი მადლობა გადაგიხადოთ გულისხმიერებისათვის და ვიმედოვნოთ, რომ თქვენი აქტიური ჩართულობით როგორც ეს ყოველთვისაა სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში, იმუნიზაციის მიმართულებითაც გვექნება პროგრესი და ყველა ის საკითხი, რაც წერილშია, ასახვას ჰპოვებს როგორც ელექტრონულ სისტემაში, ასევე, დარეგულირებული იქნება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

პატივისცემით,
ირინე ქაროსანიძე



ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი

დანართი - იმუნიზაციის განახლებული ბარათის ფორმა



იმუნიზაციის ბარათი/Vaccination Card



მონაცემები განახლებულია / Data Updated \$Sentity.CurrentDate

პირადი ნომერი Personal Number	გვარი, სახელი Name, Surname	დაბადების თარიღი Date of Birth
\$Sentity.PersonalID	\$Sentity.FullName \$Sentity.FullNameEng	\$Sentity.BirthDate

ჩატარებული აცრები / Vaccinations

გეგმიური Planned	ვაქცინა Vaccine	ასაკი Age	თარიღი Date	სამედიცინო დაწესებულება Medical Facility	გვერდითი მოვლენა AEFI
\$Sitem.VaccineName	\$Sitem.SerialNumber	\$Sitem.Age	\$Sitem.Date	\$Sitem.Provider	\$Sitem.Complications

არაგეგმიური Non Planned	ვაქცინა Vaccine	ასაკი Age	თარიღი Date	სამედიცინო დაწესებულება Medical Facility	გვერდითი მოვლენა AEFI
\$Sitem.VaccineName	\$Sitem.SerialNumber	\$Sitem.Age	\$Sitem.Date	\$Sitem.Provider	\$Sitem.Complications

გამოტოვებული აცრები / Missed Vaccinations

გეგმიური Planned	ასაკი Age	თარიღი Date	მიზეზი Reason
\$Sitem.VaccineName	\$Sitem.Age	\$Sitem.Date	\$Sitem.Date

სამომავლო კალენდრით გათვალისწინებული / Future Vaccinations According the Calendar

გეგმიური Planned	ასაკი Age	თარიღი Date
\$Sitem.VaccineName	\$Sitem.Age	\$Sitem.Date

ხელმოწერილია ელექტრონულად

Signed Digitally

